



N 21/4733
24/08/2022

4733-21-2-202208241601



შპს „ფერო ელოს ფროდაქშენის“ დირექტორს
ბატონ გიორგი ლეჟავას
მის: ქ. რუსთავი, ფიროსმანის ქ. N 3-2 ელ.
ფოსტა: ni.lezhava@gmail.com

ბატონო გიორგი,

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენ მიერ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, წარმოდგენილი N2271 განცხადება, რომელიც ეხება ქ. რუსთავში, შპს „ფერო ელოს ფროდაქშენის“ ფეროშენადნობების საწარმოს ექსპლუატაციის პირობების შეცვლისა და საწარმოში დამატებითი ტექნოლოგიური ხაზის (აგლომერაციის საწარმოს) მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს და გაცნობებთ შემდეგს:

- გზშ-ის ანგარიშის თანახმად, წიდების დროებით დასაწყობება მოხდება წიდის დასაწყობების ორმოში და შემდგომ მისი რეალიზაცია გათვალისწინებულია სამშენებლო ღორღის სახით. ვინაიდან წიდა წარმოადგენს საწარმოო ნარჩენს დეტალურად უნდა იყოს წარმოდგენილი წიდის მართვის საკითხები კერძოდ, წარმოქმნილი წიდის დასაწყობების პირობებისა და შემდგომი მართვის კონკრეტული ღონისძიებების დეტალური აღწერა, ვინაიდან საწარმო დღეის მდგომარეობით ფუნქციონირებს და წარმოიქმნება წიდა, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს იმ კომპანიების შესახებ ინფორმაცია, რომლებსაც გადაეცემა აღნიშნული წიდა შემდგომი გამოყენებისთვის;
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი ნარჩენების მართვის გეგმაში, წიდა განხილულია როგორც არასახიფათო ნარჩენი, თუმცა, წარმოდგენილი არ არის აღნიშნული წიდის ლაბორატორიული კვლევის შედეგები;
- გზშ-ის ანგარიშის დანართში 8 აღნიშნულია „წარმოებაში აგლომერაციის წარმოების მშენებლობისას მოეწყობა სანიაღვრე სისტემა და გამწმენდი ნაგებობა (სალექარი)“, თუმცა არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია სალექარის მოწყობის საკითხების შესახებ, რაც საჭიროებს დაზუსტებას;

- გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ადგილმდებარეობის ალტერნატივის განხილვა არ მომხდარა, რადგან საწარმოში დაგეგმილი ცვლილებები წარმოადგენს აღნიშნული საწარმოს ერთ ტექნოლოგიურ ხაზს, ვინაიდან აგლომერაციის საწარმო არ წარმოადგენს ფეროშენადნობებთან წარმოების ერთ ტექნოლოგიურ ხაზს (განუყოფელ ნაწილს), დეტალურად უნდა იყოს განხილული აგლომერაციის საწარმოს განთავსების ალტერნატიული ვარიანტები და შერჩეული ალტერნატივის (ტერიტორია, ტექნოლოგია) დასაბუთება გარემოსდაცვითი თვალსაზრისით, განსაკუთრებით ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების კუთხით;
- გზშ-ის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი ტექნოლოგიურ ციკლში მონაწილე თითოეული დანადგარის ხმაურის დონის შესახებ ინფორმაცია, წარმოდგენილ გეგმაზე არ არის დატანილი ხმაურის წყაროები;
- გზშ-ის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია თითოეული სახის ნედლეულის მომარაგების (საიდან ხდება შემოტანა) შესახებ. ამასთან არ არის წარმოდგენილი ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირების გეგმა-გრაფიკი და სქემა და აღნიშნულთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტთან კომუნიკაციის ამსახველი ინფორმაცია/დოკუმენტაცია;
- გზშ-ის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი 2019 წლის 15 ივლისის N2-663 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული პირობების შესრულების მიზნით განსაზღვრული გონივრული ვადების შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია;
- გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ საწარმოს ტერიტორიაზე ფუნქციონირებდა კირქვის (ფილერი) და კლინკერის დაფქვის წისქვილი, რომლის დემონტაჟი განხორციელდა 2019 წელს. თუმცა, ანგარიშში დეტალურად არის აღწერილი აღნიშნული ტექნოლოგიური ხაზის შესახებ ინფორმაცია. ამასთან, ზოგიერთ ქვეთავში მოცემულია ინფორმაცია მისი წარმადობის, აირმტვერნარევი სისტემის ეფექტურობის და ფუნქციონირების შესახებ (მაგ: „შნეკური სამსხვრევიდან გამოსული კირქვისა და კლინკერის დაფქვა ხორციელდება ბურთულებიან წისქვილში“);
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ურთიერთშეუსაბამო ინფორმაცია, კერძოდ, ანგარიშში სხვადასხვა თავში მოცემულია საწარმოო ტერიტორიიდან მდინარე მტკვრის დაშორების სხვადასხვა მანძილი (2740 მ, 2800 მ, 2900 მ), შესაბამისად აღნიშნული საკითხი საჭიროებს კორექტირებას;
- დოკუმენტაციაში დაზუსტებას საჭიროებს ჩანაწერი - „საწარმოში ექსპლუატაციის დროს წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენების არასწორი მართვის რისკები, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე არასახიფათო ნარჩენების (მაკულატურა) წინასწარ დამუშავებასთან დაკავშირებული ტექნოლოგია გარკვეულწილად წარმოადგენს გარემოზე შესაძლო ზემოქმედების წყაროს.“
- გზშ-ის ანგარიშში (თავი N14 - სკოპინგის ეტაპზე საზოგადოების ინფორმირებისა და მათ მიერ წარმოდგენილი მოსაზრებებისა და შენიშვნების შეფასება) აღნიშნულია, რომ სკოპინგის ეტაპზე გამოვლინდა მოსახლეობის დაინტერესება დასაქმების თვალსაზრისით და შესაბამისად ყოველგვარი დასაბუთებისა და არგუმენტაციის გარეშე გაკეთებულია დასკვნა, რომ „სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის თანამედროვე ეტაპზე მოსახლეობისათვის დასაქმების

პრობლემების გადაწყვეტა უფრო პრიორიტეტულია, ვიდრე გარემოსდაცვითი ღონისძიებების უზრუნველყოფა”. აღსანიშნავია, რომ დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვაზე დამსწრე საზოგადოების მხრიდან დასმული კითხვები ძირითადად ეხებოდა ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევებს, დასაქმებული ადამიანების რაოდენობას და მათ სამუშაო გარემოს უსაფრთხოებას. აღნიშნული ინფორმაცია, ასევე მოცემულია სამინისტროს მიერ გაცემულ სკოპინგის დასკვნაში, თუმცა გზშ-ის ანგარიშში ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი;

- გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოს ჩრდილოეთით 100 მეტრში მდებარეობს შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ მიწის ნაკვეთი, თუმცა საწარმოდან 500 მეტრიანი რადიუსის ზონაში არ ხვდება შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ცემენტის ქარხნიდან გაფრქვევის წყაროების წერტილები. მონაცემების ელექტრონული გადამოწმებით, საწარმოს ტერიტორიის საზღვრიდან შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ცემენტის საწარმოს გაფრქვევის მილამდე მანძილი ხვდება 500 მეტრიანი რადიუსში, შესაბამისად დაზუსტებას საჭიროებს აღნიშნული საკითხი. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით წარმოდგენილი უნდა იყოს სიტუაციური სქემა, აღნიშნული საწარმოების გაფრქვევის წყაროების ჩვენებით და კოორდინატების მითითებით. ამასთან, საწარმოდან 500 მეტრიანი რადიუსის ზონაში მოქცეული შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ცემენტის ქარხნის გაფრქვევის წყაროებიდან გაფრქვეული მავნე ნივთიერებები გაბნევის ანგარიშში გათვალისწინებული უნდა იქნას ფონურ მაჩვენებლებად;
- გზშ-ის ანგარიშის ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა მონიტორინგის ნაწილში (ცხრილი 12.6 გვ. 139-140) აგლომერაციის შეცხოების დანადგარზე გათვალისწინებულ უნდა იქნეს, ასევე, უწყვეტი ინსტრუმენტული მონიტორინგი საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N413 დადგენილების მე-5 დანართის მე-7 პუნქტის შესაბამისად. ამასთან, უწყვეტი ინსტრუმენტული მონიტორინგის უზრუნველყოფის მიზნით, საჭიროა დაზუსტდეს/დასაბუთდეს ტექნიკური თვალსაზრისით, აგლომერაციის შეცხოების დანადგარის სველი სკრუბერიდან გამომავალ აირჰაერნარეზე უწყვეტი ინსტრუმენტული მონიტორინგის განხორციელების შესაძლებლობა, ასევე, განხილულ იქნეს საპროექტო აგლომერირების უბანზე ატმოსფერულ ჰაერში მტვრის გაფრქვევის შემცირების ტექნოლოგიური ალტერნატივები, მათ შორის, სახელოებიანი ფილტრების გამოყენების საკითხი;
- ზემოაღნიშნული საკითხების დაზუსტების გათვალისწინებით, წარმოდგენილი უნდა იყოს კორექტირებული ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი;

დანართის სახით გიგზავნით ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სამოქალაქო მოძრაობის „გავიგუდეთ“ მიერ, 2022 წლის 1 აგვისტოს სააგენტოში წარმოდგენილ მოსაზრებებს და შენიშვნებს, რომლებიც ეხება ქ. რუსთავში, შპს „ფერო ელოს ფროდაქშენის“ ფეროშენადნობების საწარმოს ექსპლუატაციის პირობების შეცვლისა და საწარმოში დამატებითი ტექნოლოგიური ხაზის (აგლომერაციის საწარმოს) მოწყობისა და ექსპლუატაციის გზშ-ის ანგარიშს. გაცნობებთ, რომ სამოქალაქო მოძრაობის „გავიგუდეთ“ მიერ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრებები ზემოაღნიშნულ

საკითხებთან ერთად გათვალისწინებული უნდა იყოს დამატებითი დოკუმენტაციის სააგენტოში წარმოდგენისას.

ასევე კორექტირებას საჭიროებს ცხრილი 1 (საქართველოს გარემოსდაცვითი კანონების ნუსხა) და ცხრილი 2 (გარემოსდაცვითი სტანდარტების ნუსხა), სადაც მოცემულია ძალადაკარგული კანონების/კანონქვემდებარე აქტების ჩამონათვალი. ამასთან ბუნდოვანია როგორც დოკუმენტში გამოყენებულ ცნებათა განმარტებები, ასევე აღნიშნული განმარტებების საჭიროება და მათი საკანონმდებლო საფუძველი. აღნიშნული განმარტებები მოცემულია სხვადასხვა ძალადაკარგული საკანონმდებლო აქტებიდან.

გთხოვთ, ორი თვის ვადაში უზრუნველყოთ ყველა ზემოაღნიშნული საკითხის/შენიშვნის შესახებ დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენა სააგენტოში. აღნიშნული საკითხების გათვალისწინებით, დაზუსტებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენამდე სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის თაობაზე.

დანართი: 8 (რვა) ფურცელი

პატივისცემით,

თამარ ფიცხელაური



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

